ევროპის საბჭო

მინისტრთა კომიტეტი

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია # R (90) 12

ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მიმართ

სასოფლო ტერიტორიებზე მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის თაობაზე

(რეკომენდაცია მიღებული იქნა მინისტრთა კომიტეტის მიერ მინისტრთა მოადგილეების 438-ე შეხვედრაზე 1990 წლის 25 აპრილს)

1. მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს წესდების 15 ბ მუხლის საფუძველზე;

2. მიიჩნევს რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანს წარმოადგენს მის წევრ სახელმწიფოებში სოციალური და ეკონომიკური პროგრესის წახალისება და მათ შორის უფრო დიდი ერთიანობის მიღწევს იმ იდეალებისა და პრინციპების დაცვის მიზნით, რომლებიც წარმოადგენენ მათ საერთო მემკვიდრეობას და რომ ეს მიზანი შესაძლოა მიღწეული იქნას, ერთობლივი ძალისხმევითა და თანამშრომლობით სოციალურ, სამართლებრივ და ადმინისტრაციულ საკითხებზე;

3, "რაიონების განვითარების პროგრამები დაბასა და სოფლებს შორის ბალანსის შესახებ" (73) 3 რეზოლუციის თანახმად და აგრეთვე (76) 26 რეზოლუციის გათვალისწინებით, რომელშიც საუბარია იმ ღონისძიებებზე, რომელიც მიღებულ უნდა იქნან რათა შემცირდეს რაიონებისა და სოფლების მოსახლეობისაგან დაცლა;

4, გაითვალისწინა რა 1987-1988 წლებში ევროსაბჭოს მიერ ჩატარებული, რაიონებისა და სოფლების მხარდამჭერი კამპანიის შედეგები და ამ კამპანიის შედეგად, რაიონებისა და სოფლების პრობლემების გაზრდილი ცოდნა;

5. იმის გათვალისწინებით, რომ რაიონები და სოფლები დასავლეთ ევროპის 85% შეადგენენ და თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც რომ ყოველი მესამე ევროპელი რაიონის მოსახლეა, ეს ფაქტორი გადამწყვეტ როლს თამაშობს მთელი ევროპის მოსახლეობის კეთილდღეობის კუთხით.

6. ბოლოდროინდელი მოვლენების გათვალისწინებით ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში, რამაც მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა რაიონებსა და სოფლებს;

7. დარწმუნებულია რა, რომ სახელმწიფო პროგრამები გამიზნულ უნდა იქნან არა მარტო ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, არამედ რაიონებისა და სოფლებისათვის ბუნებრივი რესურსებისა და სოციალური ერთიანობის მიღწევის მიზნით;

8. "ევროპული კამპანიის" მიერ გამოვლენილი შედეგებიდან გამომდინარე, სჯერა რა, რომ ამ კუთხით მიღებული ზომები მოქცეულ უნდა იქნან რაიონისა და სოფლის მიმართ

არსებული პოლიტიკის ერთიანი რეგულირების სფეროსა და სათანადო სივრცითი დაგეგმარების ჩარჩოებში;

9. იმის გათვალისწინებით, რომ საჭიროა მოხდეს ხელისუფლების ყველა დონეზე იმ უწყებების უფლება მოვალეობების კოორდინაცია, რომლებიც ჩართულნი იქნებიან სოფლისა და რაიონების განვითარებისა და ხელშეწყობის აღნიშნული ერთიანი სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაში;

10. ითვალისწინებს რა, რომ რიგი ევროპის საბჭოს ქვეყნების მიერ ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურების რაციონალიზაცია მოხდა აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ეფექტურად განხორციელების მიზნით;

11. იმის გათვალისწინებით, რომ რაიონებსა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი დროულად ხელმისაწვდომობაა რიგი მომსახურებებისა ხელმისაწვდომ ფასად, რის გარეშეც, რაიონებსა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობაში სოციალური დისბალანსის არსებობის რეალური საფრთხე არსებობს

12. მეორე მხრივ ითვალისწინებს რა, რომ დაბალი ხარისხია როგორც თავად მომსახურების ასევე მომსახურების მიწოდების კუთხით, რაც რაიონისა და სოფლის მდგომარეობის გართულების ერთერთი მთავარი ფაქტორია და სამუშაო ადგილების შექმნასა და საწარმოების გახსნას უშლის ხელს;

13. იმის გათვალისწინებით, რომ მომსახურებების დანერგვა არა მარტო უნდა პასუხობდეს სოფლად და რაიონში მცხოვრები მოსახელობის საჭიროებებს, არამედ თავის თავში უნდა მოიცავდეს დასაქმების წყაროსაც;

14. იმედოვნებს რა, რომ არსებული თანამედროვე საკომუნიკაციო, საინფორმაციო და სასწავლო (ტრეინინგის) მეთოდებისა და მიდგომების გონიერი გამოყენების შედეგად მიღებულ სარგებელს მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს;

წვერი სახელმწიფების მთავრობებს შემდეგი რეკომენდაციებით მიმართავს:

i. იმისათვის, რომ რაიონებსა და სოფლად მომსახურების მიწოდება ეფექტიანი იყოს, მკაცრად უნდა იყოს დაცული ფუნდამენტურ პრინციპი, რაც გულისხმობს რომ მომსახურების მიწოდება უნდა შეესაბამებოდეს რაიონის განვითარების დონეს და აკმაყოფილებდეს ხარისხის გარკვეულ დონეს ქალაქად არსებული ხარისხის დონესთან მიმართებაში;

ii ძირითადი მომსახურების ტერიტორიული ხელმისაწვდომობა მათთვის ვინც ამ მომსახურებას საჭიროებს;

iii სადაც მიზანშეწონილად იქნება მიჩნეული, მოხდეს რეგიონის ხელისუფლების ორგანოებისა და ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ხელშეწყობა რათა მათ განახორციელონ სამოქმედო და საცდელი (პილოტური) პროექტები მომსახურებების უზრუნველყოფის მიზნით და აგრეთვე რაიონებსა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ინტერესების შესაბამისი სტრატეგიების შემუშავების კუთხით, მაგალითად:

- ხელშეწყობა რათა მოხდეს კოორდინირებული დაგეგმარება და/ან მართვა საზოგადო ან ნახევრად საზოგადო მომსახურებებისა ტერიტორიული ან ტექნიკური ნიშნით ან ორივეს გათვალისწინებით,

- თავიანთი ან ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივის საფუძველზე მოხდეს სხვადასხვა სახის თანამშრომლობის ხელშეწყობა პატარა სოფლების თემებს შორის რომელთა მცირერიცხოვანი მოსახლეობა ვერ გამოიმუშავებს საჭირო რესურსებს ან ეფექტიანი ,მომსახურების მიწოდებისათვის არ წარმოადგენს მსყიდველუნარიან მომხმარებლებს.

- სამუშაო ძალის გადანაწილების ხელშეწყობა მეორეხარისხოვანი მომსახურების უზრუნველსაყოფად, რადგანაც აღნიშნული მომსახურებები მეზობელი თემებისათვის საერთოა,

- ადმინისტრაციული მომსახურებების ისეთ ადგილზე დაჯგუფების შესაძლებლობის გათვალისწინება, საიდანაც მეზობელი ტერიტორიებისათვის ყველაზე ადვილად მისაწვდომი იქნება.

iv მმართველობის ნებისმიერ დონეზე კერძო სექტორთან და სხვა ამგვარი თანამშრომლობისათვის მზა ორგანიზაციებთან, ახლო თანამშრომლობის ხელშეწყობა რაიონებსა და სოფლად მომსახურებების მიწოდების მიზნით და, ამავდროულად, მომსახურების მიწოდების მეთოდების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რომლებიც საბოლოო პროდუქტის მომხმარებლის ინტერესებს ითვალისწინებს;

v სათანადო ყურადღება მიექცეს იმ საკომუნიკაციო საშუალებების არსებობას, რომლებიც საჭიროა საზოგადო და კერძო მომსახურებების მიღებისათვის. ამავდროულად, სადაც საჭირო იქნება მიჩნეული, მიღებული იქნას ზომები, რათა არ დაიშვას, რომ მომსახურებების კონცენტრაციამ გამოიწვიოს იმ პირების კიდევ უფრო იზოლირება, რომელთა გადაადგილების უნარიანობა ისედაც შეზღუდულია, ასეთი ზომა შეიძლება იყოს არსებული სატრანსპორტო საშუალებების მომსახურებების კოორდინაცია კონკრეტული რეგიონის ფარგლებში;

- სპეციალური სატრანსპორტო საშუალებების, მაგალითად სკოლის ტრანსპორტის, საფოსტო სატრანსპორტო საშუალებების და ა.შ მრავალი დანიშნულებით გამოყენების ხელშეწყობა,
- ახლებური, ინოვაციური მიდგომების, მაგალითად მიკროავტობუსი გამოძახებით, სუბსიდირებული ტაქსები და ა.შ., შემოღების ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე,

vi საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების მიმართ განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება, რადგან მათმა გამოყენებამ შესაძლოა გააუმჯობესოს სწავლების (ტრენინგის) და დასაქმების არსებული დონე რაიონებში, და განსაკუთრებით კი, მცირე დასახლებულ რეგიონებში. გარდა ამისა, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ადგილობრივ თემებს საშუალება მიეცემათ მოიზიდონ ბიზნეს ინვესტიციები მოწინავე ტექნოლოგიებით;

vii შესაბამის ხელისუფლების წარმომადგენლებს/შტოებს შეახსენონ

- რომ ხშირად დამატებითი მომსახურებების კომბინაცია როგორც კერძო ასევე საჯარო მომსახურებებისა შესაძლოა იყოს მხოლოდ ერთადერთი მართებული მიდგომა რაიონულ კონტექსტში,
- რომ არსებული ქონების საერთო გამოყენება მნიშვნელოვან რეკომენდაციას წარმოადგენს (მაგალითად სასკოლო ქონების მრავალი დანიშნულებით გამოყენება სხვადასხვა სახის კულტურულ, სპორტულ და სოციალურ ღონისძიებებში);

viii იქ სადაც საჯარო მომსახურები მიწოდების სპეციფიკა არ ითვალისწინებს მცირედასახლებულობას, არსებული სისტემა უნდა შეიცვალოს არასრული სამუშაო გრაფიკით, მობილური მომსახურებით ან გამოძახებით მომუშავე მომსახურებებით;

ix მხედველობაში უნდა იქნას მიღებული რაიონული მხარეების საცალო ვაჭრობის ადგილების შენარჩუნების საჭიროება და იმ მომსახურებების შეთავაზება, რომლებიც რაიონულ საწარმოებს ბიზნეს ერთეულებად ჩამოყალიბებას შეუწყობენ ხელს, რაც ახალი სამუშაო ადგილების შექმნის წინაპირობაა;

x უზრუნველყოფილ იქნას რეგიონებში მცხოვრების მოსახლეობისათვის საგანმანათლებლო ცენტრებისა და დამატებით პროფესიული გადამზადების დაწესებულებების მისაწვდომობა ახლი უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და მრავალმხრივი კომპეტენციების შეძენაში;

xi რაიონების კეთილდღეობის შენარჩუნების მიზნით, უნდა მოხდეს სოფლის სკოლების, რენტაბელურობის და შესატყვისი სასწავლო პროგრამის უზრუნველყოფით, შენარჩუნება (რჩენა);

xii მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ის გარემოება, რომ მიმდინარე და სამომავლო ცვლილებები და აქტივობა რაიონული ეკონომიკის აღმშენებლობისათვის ყოვლად ფუჭი ძალისხმევა არის სანამ არ მოხდება ეფექტური პროფესიული სწავლებისა და გადამზადების პროგრამების შემოღება ყველაზე მოშორებულ რაიონებსა და სოფლებში, რომლებიც კონკრეტულად გამიზნულნი იქნებიან მოსახლეობის საჭიროებზე არსებული ან პოტენციური სამუშაო ადგილების პერსპექტივის გათვალისწინებით;

xiii შემდგომი განათლების მიღების მიზნით, სასწავლო პროგრამების უზრუნველყოფის ხელშეწყობა იმ პირთათვის, რომლებიც რაიონული თემების საპასუხისმგებლო თანამდებობებზე იმყოფებიან, და, აგრეთვე მოზარდებისათვის განათლების მიღების მიზნით, მოხდეს ისეთი კურსების ორგანიზება, რომლებიც რაიონულ თემებს დაეხმარებიან თავიანთი საკუთარი პოტენციალის განვითარებასა და მიღწევაში;

xiv საბინაო პოლიტიკაში მოხდეს ადგილობრივი ხელისუფლების (ადმინისტრაციის) და სხვა ორგანოების როლის გაწერა, რომლებიც მუშაობენ საბინაო უზრუნველყოფის საკითხებზე საბინაო პრობლემების (უკმარისობა/დაზიანება) არსებობის შემთხვევაში რიგ რაიონულ მხარეებში და აგრეთვე დაეხმარონ რაიონებში მცხოვრებ მოსახლეობას შესატყვისი საცხოვრებელი ადგილის უზრუნველყოფა-მიღებაში;

xv მიზანშეწონილობის საფუძველზე, მოხდეს სწავლების (ტრენინგის) ჩატარება/ორგანიზება რაიონულ საკითხებში.